დამოუკიდებლობა – მიზანი თუ საშუალება?

"ქართული ფილმის " 21 მარტის ნომერში დაიბეჭდა ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავჯდომარის ირაკლი წერეთლის განცხადება, სადაც ჩამოყალიბებულია საქართველოს საბჭოთა იმპერიიდან გასვლის, როგორც ახლა ამბობენ, მექანიზმი. ამ მექანიზმის პოლიტიკურ-იურიდიული ანალიზი პოლიტიკოსებისა და იურისტების საქმეა. მკითხველის ყურადღებას გავამახვილებ შ მდეგ გამონათქვამებზე.

"გარდამავალი კოალიციური ხელისუფლების შექმნასკი ჩვენ ვვარაუდობთ არა უმეტეს სექტემბრის თვისა, თუ კრემლის შეიარაღებული ჩარევა არ შეგვიშლის ხელს. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოსალოდნელია, ჩვენს პოლიტიკას არ ავაგებთ იმ ფაქტორზე, ჩაერევა თუ არა კრემლი ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტაში. ყველაფერი უნდა გადაწყდეს ჩვენი ისტორიული, ზნეობრივი სიმართლის საფუძველზე და ყოველი ღონე უნდა მოვახმაროთ იმ სიმართლის დაცვას ანუ როგორც რომაელები იტყოდნენ "ოღონდ აღსრულდეს ჭეშმარიტება, თუნდაც დაინგრეს ქვეყნიერება".

სრული სიმართლეა! ჭეშმარიტება ღირს მთელ ქვეყნიერებად და მასზე მეტადაც, რადგანაც ის მარადიულია, ქვეყნიერება-წუთისოფელი კი წარმავალი. თუკი ქვეყანაში არ იქნება ჭეშმარიტება, ასეთ ქვეყანას კაპიკის ფასი აქვს. მაგრამ რომაელებს არ უთქვამთ "ოღონდ აღსრულდეს ჭეშმარიტება", მათ თქვეს – "ოღონდ აღსრულდეს სამართალი". იუსტიცია-სამართალი და ჭეშმარიტება კი სრულიად განსხვავებული ღირებულების ცნებებია. რომაელებს არაფერი ესაქმებოდათ ჭეშმარიტებასთან ამ ცნების იმ გაგებით, რომელიც ჩამოყალიბდა ქრისტიანობის ეპოქაში, მათი საქმე იყო ფორმალური სამართალი და იქნებ კიდეც გაეწირათ მისთვის რომიც და მთელი ქვეყნიერებაც, რადგან შ იძლება სწორედ სამართალი (იურისპრუდენცია) იყო ამ ხალხის არსებობის საზრისი. მაგრამ თქვენ იტყვით, რომ ლიდერი ამბობს, "ოორონდ აღსრულდეს ჭეშმარიტებაო!" ხოლო ჭეშმარიტებისათვის ღირს თავის გაწირვა. ასე რომ იყოს, არაფერი ითქმის. საქმე ის არის, რომ ჩვენი ლიდერი "ჭეშმარიტებაში" არ გულისხმობს WeSmaritebas, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სიმართლეს, ის ხომ ასე წერს: "… ყოველი ღონე უნდა მოვახმაროთ ამ სიმართლის დაცვას, ანუ როგორც რომაელები იტყოდნენ" და ა. შ. როგორც ტექსტშია. როგორც ვხედათ, აქ ცნებებია შენაცვლებული. რა არის ეს? ლაპსუსის ლინგვე, ლაპსუსის კალამი თუ სხვა უფრო მნიშვნელოვანი ლაპსუსი?

რას გულისხმობს მოძრაობის ლიდერი "ჭეშმარიტებაში"? ის უთუოდ გულისხმობს საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. მაგრამ თუ წარმოადგენს პოლიტიკური დამოუკიდებლლობა ისეთ ღირებულებას, რომლისთვისაც შეიძლება გაიწიროს მთელი ქვეყანა? როცა ქრისტე ეუბნებოდა ხალხს: ებრაელებს: "ჭეშმარიტებამან განგათავისუფლოს თქვენო", ის არ აღუთქვამდა მათ პოლიტიკურ თავისუფლებას, რადგან პლიტიკურ დამოუკიდებლობას ჯერ კიდევ არ მოაქვს ჭ შმარიტი თავისუფლება, რომელიც გადაწონის მთელ ქვეყნიერებას არა თუ ერთ ქვეყანას. როცა პირველქრისტიანთა სისხლი იღვრებოდა, ის იღვრებოდა ჭეშმარიტების დასამოწმებლად და არა პოლიტიკურ, თუ სხვა წარმავალ ღირებულებათა მოსაპოვებლად. ისინი ამოწმებდნენ თავისი სისხლით, რაკი სხვა სახსარი მათ არ გააჩნდათ, ჭეშმარიტებას, რადგან სწამდათ, რომ ქრისტე იყო ჭეშმარიტებაც, და გადარჩენაც.

ცნობილი იყო, რომ პოლიტიკური პარტია, რომელიც ბრძოლის მშვიდობიან გზას არ ირჩევს, თავის პოლიტიკას არ აგებს სისხლიანი მსხვერპლის გაღებაზე. მაგრამმ ახლა ვხედავთ, რომ პარტიამ თუ ფორუმმა იცის, რა მოელის ქვეყანას ("მიუხედავად იმისა, რომ ეს მოსალოდნელია, ჩვენ პოლიტიკას ვერ ავაგებთ იმ ფაქტზე, ჩაერევა თუ არა კრემლი".. იგულისხმება შეიარაღებული ჩარევა), მაგრამ მაინც არ აპირებს უკან დახევას, რადგან მას ასე კარნახობს "ისტორიული, ზნეობრივი სიმართლე". მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს

სიმართლე არ არის გარდამავალი, აბსოლუტური ჭეშმარიტება, რომლის წინაშე ნამდვილად არ უნდა დაიხიოს პატიოსანმა კაცმა და შეაკლას თავი მტერს.

ასეთი უკანდაუხევლობა რელატიური სიმართლის წინაშე არ არის პოლიტიკური ბრძოლა, ეს ფანატიზმია, ეს იმ ცნობილი ზელოტების (მოშურნეთა, კანანელთა) პოლიტიკაა, რომლებიც თავისდაუნებურად, ცხადია, იერუსალიმის დანგრევის ხელისშემწყობნი შეიქმნენ 70 წელს. მართალია, იერუსალიმის ტაძრის დანგრევა ნაწინასწარმეტყველები იყო ქრისტეს მიერ, ის განწირული იყო, მაგრამ როგორც კვლავ ქრისტე იტყოდა, ვაი მას, ვისი ხელიც გაერეოდა ამ ნგრევაში. ზელოტებმა, პოლიტიკურ ექსტრემისტულ პარტიად გარდაქმნილმა რელიგიიურმა სექტამ, ამ ფანატიკოსმა პატრიოტებმა, რომელთაც სწორედ პოლიტიკური სიტუაციის განცდის უნარი აკლდათ, ხელი შეუწყვეს რომაელებს იერუსალიმისა და მისი ტაძრის დანგრევაში.

ცნობილი ეთნოლოგი და მოაზროვნე ლევ გუმილიოვი წერს ერთგან: "ყველა ეთნოსი როდია თანახმა შეინარჩუნოს სიცოცხლე მტრისადმი მორჩილების ფასად". ეს სრული სიმართლეა მხოლოდ იმ შ მთხვევისათვის, როცა ეთნოსი გრძნობს, რომ სხვა გზა არ არსებობს. ან ეთნოსი განიცდის უკანასკნელ ჟამს თავის ისტორიაში, ან მას ჰყავს წინასწარმეტყველი და ის ამცნობს მათ ჭ შმარიტებას. ასეთები იყვნენ ზელოტები? ან იქნებ ჰყავდათ მატ უკეტესი წინასწარმეტყველი, ვიდრე იყო ქრისტე?

ზელოტები თუმცა იყვნენ მხურვალე, გულწრფელი პატრიოტები, მაგრამ თავად არ იყვნენ თავისუფალნი, რომ ექადაგნათ თავისუფლება. თავისუფლება საკუთარი თვითნებობის, ყოველგვარი დასაზღვრულბის, ფატალიზმის ძლევაშია. ასეთ თავისუფლებას ბადებს ჭეშმარიტების შეცნობა, რაც შინაგანი პიროვნული აქტია. ჯერ შინაგანად თავისუფლდება ადამიანი და მერე აღწევს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, რომელიც ჭეშმარიტი თავისუფლების მხოლოდ ნივთიერი გამოხატულება შეიძლება იყოს და არავითარ შემთხვევაში უმაღლესი, აბსოლუტური მიზანი. სადაც გაისმის ძახილი "ჩვენთან არს ღმერთი!" ხოლო უმაღლეს ღირებულებად წარმავალია დასახული, საშუალება კი – საღვთო მიზნად,იქ არ იქნება ღმერთი.

ჩვენი დღევანდელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა წარსულისგან განსხვავებით, განსაკუთრებული უნდა იყოს, თუკ გავითვალისწინებთ იმას, რომ ყველა პარტიას საბოლოო მიზნად დასახული აქვს არა მხოლოდ დამოუკიდებელი დემოკრატიული, არამედ qristianuli საქართველო. თუ ეს გვსურს, მთელი შ გნებით, მაშინ მთელი სისრულით უნდა გავიაზროთ, რას ნიშნავს ქრისტიანული ქვეყანა;რომ იგი განუზომლად მეტს, თვისობრივად სრულიად განსხვავებულ რეალობას უნდა გულისხმობდეს, ვიდრე პოლიტიკურ დამოუკიდებლობაში შეიძლება იგულისხმებოდეს. თუ გვსურს, ვიყოთ ქრისტიანები, ქრისტიანებიც უნდა ვიყოთ ოკუპირებულ ქვეყანაშიც; უფრო მეტიც, სწორედ ოკუპირებულ ქვეყანაში, რადგან ჭეშმარიტი ქრისტიანები, ქრისტიანები იყვნენ და იმარჯვებდნენ სწორედ დევნილობის ხანაში; მათთვის არ იყო დაბრკოლება რომის იმპერიის მანქანა და ლეგიონები, არც დემოკრატია, არც ქვეყნის დამოუკიდებლობა არსად, არასოდეს ყოფილა აბსოლუტური, რომ მაინც და მაინც ჩვენ მოველოდეთ. რა საჭიროა პოლტიკური ბრძოლის დროს ასეთი მაქსიმალიზმი და, შეიძლება ითქვას, საკრალიზმი? თუ პოლიტიკაა, პოლიტიკას თავისი სიმართლე აქვს და იგი არ უნდა გავრიოთ რელიგიიურ ჭეშმარიტებაში, რომელიც თავისი ბუნებით მოითხოვს განსხვავებული, მცდარი (მწვალებლური) აზრის შეუწყნარებლობას. არ უნდა აღირიოს ერთმანეთში ღმერთი და კეისარი, უნდა გვახსოვდეს სამარადისო (ცხადია, წუთისოფლის ფარგლებში) დევიძი "კეისარს კეისრისა, ღმერთს ღვთისა". ახლა კი ასეა: საკრალიზმი და რელიგიის სიმბოლოთა პროფანაცია საერო მოძრაობაში. საეკლესიო საკითხები ლამის მიტინგებზე წყდებოდეს, პოლიტიკური ბრძოლა წარიმართებოდეს ძახილით "ჩვენთან არს ღმერთი!" ამ მოწოდებას კი მოსდევს "ერის მოღალატეთა" შ ჩვენება საეკლესიო სამართლით, მათი ანათ მაზე გადაცემა. იქნება ჩვენთან ღმერთი?

შესაძლებელია თუ არა, ოკუპაციის პირობებში, როცა არის საშუალება მრავალპარტიული სისტემის არჩევნებისა, პოლიტიკურმა ბრძოლამ პარლამენტში გადაინაცვლოს? შესაძლებელია თუ არა, , ამ თუნდაც არასრულყოფილმა არჩევნებმა საგრძნობლად შეცვალოს უზენაესი საბჭოს ე.წ. "პარლამენტის" შემადგენლობა? რათა დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, რაც არ შეიძლება იყოს, როგორც ჩანს, ერთდროული აქტი, ჩაეყაროს საფუძველი პირობებს დამოუკიდებლობის მოსაახლოებლად.

უნდა შ ვეშვათ ამ იურისპრუდენციულ კაზუისტიკას ოკუპაციის თაობაზე. მაინც რას ნიშნავს ეს ოკუპაცია? ქრისტიანული აზრით, თუკი ჩვენ ქრისტიანებად განვიცდით თავს, ოკუპირებული ვართ, რაც წუთისოფელი არსებობს, კაცთ მოდგმის იმ დასაბამიერი მტრის მიერ. კარგად ვიცით, რომ "ყოველი სოფელი ბოროტსა ზედა დგას", რომ წუთისოფლის მთავარს ალყა ქავს შ მორტყმული. მაგრამ მაინც სწორედ ამ ალყაში ჩაისახა და დღემდე განაგრძობს ქრისტეს ეკლესია თავის ღვაწლს.

რაც გასაკეთებელია ეროვნულ ასპარეზზე, უნდა გაკეთდეს ამ ოკუპაციის პირობებში – კეთIული საქმის გადადება ამრავლებს ბოროტებას; გამოყენებული უნდა იქნას ყველა არხი, თუნდა იყოს ის "მოდერნიზებული იმპერიის" დაწესებულება. დამოუკიდებელი და სამართლებრივი ქვეყნის შენება უნდა დაიწყოს ჩვენს დღეებშივე და არა მაშინ, იმ ესქატოლოგიურ ჟამს, როცა ქვეყანა გასული იქნება იმპერიის საზღვრებიდან და საკუთარ კონსტიტუციას დაემყარება (ისიც საკითხავია, თუ როგორ მოხდება დამოუკიდებლობის მიღწევა – იმპერიიდან გასვლის თუ იმპერიის დაშლის შ დეგად?). მოსაპოვებელია ცალკეული დამოუკიდებლობანი განათლებიდა თუ სპორტიდან დაწყებული კულტურისა და სამეურნეო პოლიტიკის ყოველ სფერომდე, როგორც საწინდარნი ქვეყნის სრული დამოუკიდებლობისა.

ეროვნულმა მოძრაობამ უნდა შეაღწიოს იმ ორგანოში ხელისუფლებისა, რომელიც ანტიდემოკრატიის ნიმუშია ამ სამოცდაათი წლის მანძIლზე; უნდა შეაღწიოს და სრულად გარდაქმნას იგი.

ეროვნულმა მოძრაობამ მთელი თავისი ძალისხმევა უნდა მიმართოს არა არჩევნების ბოიკოტისაკენ, არა გაურკვეველი დროისა და მასშტაბის დაუმორჩილებლობისაკენ, არა საეჭვო შ დეგების რეფერენდუმის ჩასატარებლად, არამედ საბჭოთა ე.წ. პარლამენტის შეტევისკენ სადეპუტატო ხმათა მშვიდობიანი ბრძოლით მოსაპოვებლად, რათა იმავე მახვილმა, რომელიც აქამდე ქვეყნის წინააღმდეგ იყო მოღერებული, მიმართულება შეიცვალოს და მტრის გასაგმირად მიიქცეს. აი, მაშინ უნდა გადმოანთხიოს უკან ბაბილონმა მის მიერ შთ ნთქმილი წმიდა ერი.

ზურაბ კიკნაძე
წაკითხული იქნა საქართველოს სხვადასხვა
პოლიტიკური ოპოზიციური ორგანიზაციების და
ინტელიგენციის წარმომადგენელთა კონფერენციაზე.
1990წ. 6 აპრილს თბილისში.
(იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით).

"მოწამეთა" (სრულიად საქართველოს რუსთაველის
საზოგადოების ქუთაისის სადროშოს ყოველთვიური
გაზეთი), მაისი (5), 1990წ.